საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასპუჭაკა

ასპუჭაკა (Sylvia), ფრინველთა გვარი ბეღურასნაირთა რიგისა. სხეულის სიგრძეა 12–15 სმ, შეფერილობაში ჭარბობს რუხი, ნაცრისფერი, თეთრი, შავი, წითური ტონალობა; ზოგიერთს შეფერვაში გამოხატული აქვს სქესობრივი დიმორფიზმი; გვარში გაერთიანებულია ევრაზიასა და ჩრდ. აფრიკაში გავრცელებული 17 სახეობა, რ-თა უმრავლესობა გადამფრენია (ზამთრობენ აფრიკასა და სამხრ.-დას. აზიაში). ბინადრობენ ტყისპირებში, ნაირგვარ ტყეებში, ტყეკაფებზე, ჭალებში, ბაღებსა და სხვა ანთროპომორფულ ლანდშაფტებში, ხეობებში; ბუდობენ აპრილ-მაისში (ბუდე ღიაა), დებენ 4–5 კვერცხს; რ-თა ინკუბაცია 2 კვირამდე გრძელდება. იკვებებიან მწერებით, ობობებით, კენკრით. საქართველოში ბუდობს 5 სახეობა: მ ი მ ი ნ ო ს ე ბ რ ი ა. (S. nisoria), მ ქ ი რ დ ა ვ ი ა. (S. curruca), შ ა ვ თ ა ვ ა ა. (S. atricapilla), რ უ ხ ი ა. (S. communis), მ გ ა ლ ო ბ ე ლ ი ა. (S. hortensis). მიმოფრენისას იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს ბაღის ა. (S. borin).

რ. ჟორდანია